

ევგენი მიქელაძე

ევგენი მიქელაძე, ბაქოში 1903 წლის 27 ივნისს დაიბადა. ათი წლის იყო, როცა სასწავლებლად თბილისის კადეტთა კორპუსში მიაბარეს. სწავლის პერიოდშივე გამოამყვანა მუსიკისადმი დიდი სიყვარული და პატარობიდანვე, ორკესტრთან ერთად კონცერტებზე გამოდიოდა.

1918 წელს კადეტთა კორპუსის დახურვის შემდეგ, მოსწავლეები თბილისის რეალურ სასწავლებელში გადაიყვანეს.

ევგენი მიქელაძის მუსიკალობამ, შრომისმოყვარეობამ და შეუპოვარმა ხასიათმა, თბილისის ოპერის თეატრის დირიჟორის, ვალერიან მიზანდარის ყურადღება მიიქცია.

1920-1922 წლებში ვ. მიზანდარის ავადმყოფობის გამო, ევგენი მიქელაძეს ხშირად უწევდა მის მაგივრად თბილისის ოპერის თეატრში დირიჟორობა, რამაც ხელი შეუწყო მის დახელოვნებას.

1925 წელს ევგენი მიქელაძემ სწავლა ლენინგრადის კონსერვატორიის სადირიჟორო ფაკულტეტზე გააგრძელა. მას საუკეთესო პედაგოგები – ალ. გაუკი, ნ. მალკო, ხ. კუშნარევი, ა. ჟიტომიტსკი, პ. რიაზანოვი, ი. სოლერტინსკი, ა. ოსოვსკი, ე. კაპლანი, ი. ტულინი ასწავლიდნენ, რომელთაც საფუძვლიანად შეასწავლეს და გეზი მისცეს მის მომავალ მოღვაწეობას.

1931 წელს ლენინგრადის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, ევგენი მიქელაძე თბილისის ოპერის თეატრის დირექციამ ორკესტრის დირიჟორად მიიწვია. მოღვაწეობის პირველივე წლებში მან დადგა ოპერები: გ. დონიცეტის „დონ პასკუალე“, ჟ. ბიზეს „კარმენი“, ჯ. ვერდის „აიდა“.

ევგენი მიქელაძე იყო სპორტული საზოგადოება „შეგარდენის“ წევრი, სადაც გაიცნო შემდგომში გამოჩენილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ალპინიზმის ფუძემდებელი გიორგი ნიკოლაძე და ქორეოგრაფი დავით ჯავრიშვილი. იგი სპორტულ საზოგადოებას დიდი სიამოვნებით ეხმარებოდა სასულე ორკესტრის ჩამოყალიბებასა და რეპერტუარის შერჩევაში.

1935 წელს დავით ჯავრიშვილის თაოსნობით შეიქმნა სახელმწიფო ქორეოგრაფიული სტუდია, რომლის მუსიკალურ ხელმძღვანელად ევგენი მიქელაძე დაინიშნა. ამ წარმატებული თანამშრომლობით, 1936 წელს დადგა პ. ჩაიკოვსკის ბალეტი „მაკნატუნა“, რომელიც მაყურებელმა დიდი ოვაციითა და სიყვარულით მიიღო.

ევგენი მიქელაძის მოღვაწეობის პერიოდში გაძლიერდა და შესამჩნევად დაიხვეწა საქართველოს სიმფონიური ორკესტრის რეპერტუარი, რომელიც დიდი გემოვნებითა და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ორკესტრი წარმატებით ასრულებდა ბეთჰოვენის, ვაგნერის, შუბერტის, ბრამსის, ბერლიოზის, ჩაიკოვსკისა და სხვათა ქმნილებებს. ევ. მიქელაძის საოპერო რეპერტუარში განსაკუთრებით გამოირჩეოდა: ჟ. ბიზეს „კარმენი“, ჯ. ვერდის „აიდა“, „ოტელო“, ალ. ბოროდინის „თავადი იგორი“, ჯ. პუჩინის „ტოსკა“, შ. გუნოს „ფაუსტი“, მელიტონ ბალანჩივადის „დარეჯან ცბიერი“, დიმიტრი არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“. ხოლო 1937 წელს მოსკოვში გამართულ ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე წარდგენილი სპექტაკლები მისი დირიჟორობის კულმინაციად იქცა. 1936 წელს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1937 წელს, 34 წლის ევგენი მიქელაძეს რეპრესირებულ ქართველ ხელოვანთა ბედი ეწია.

ეზვანი მიქელაძის პირადი საარქივო ფონდი

ზიობრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. მოწმობა გაცემული ტფილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორის აკ. ფალავას მიერ ევგენი მიქელაძის სახელზე, რომელსაც დაევალა ორკესტრის მსახიობებისა და მომღერლების მუდმივ სამუშაოდ მიწვევის თაობაზე წინასწარი მოლაპარაკებების წარმოება.

1935 წ. 12 მარტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

2. მანდატი გაცემული ტფილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექციის მიერ ევგენი მიქელაძის სახელზე, რომ მას უფლება აქვს მოსკოვსა და ლენინგრადში აწარმოოს სხვადასხვა მოლაპარაკებები მსახიობთა მიწვევის თაობაზე.

1935 წ. 25 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

3. ევგენი მიქელაძის ახსნა-განმარტებითი ბარათი, ოპერის დირექციის სახელზე, სპექტაკლზე დაგვიანების შესახებ. წერს, რომ 19. 05.1933 წელს დააგვიანდა სპექტაკლზე ავადმყოფობის გამო, რის გამოც თავს დამნაშავედ გრძნობს.

1933 წ. 22 მაისი. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

4. ტფილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექციის წერილი განათლების სახალხო კომისრის მოადგილის, გეგენავასადმი, სახ. ოპერის მთავარი დირიჟორის ევგენი მიქელაძის სახელფასო და საშვებულებო დავალიანების დაფარვის თაობაზე. სახ. ოპერის დირექცია სთხოვს განათლების სახალხო კომისარიატს დირიჟორისთვის კუთვნილი თანხის ანაზღაურებას.

1935 წ. 17 ივლისი. ნაბეჭდი. 2 ვარიანტად. 2 გვ.

5. ტფილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის დირექციის ბრძანება, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამუსიკო ნაწილის გამგე, დირიჟორი ევგენი მიქელაძე, თეატრის დირექციასთან შეუთანხმებლად 22 ივნისს თვითნებურად გაემგზავრა შვებულებში, რაზეც დირექცია ითხოვს აღნიშნული საქციელი ეცნობოს განსახკომს, სათანადო მსჯავრის დასადებად. ბრძანებას თან ერთვის სახ. ოპერის დირექტორის აკ. ფალავას წერილი, სადაც ასევე ითხოვს განსახკომისგან სათანადო რეაქციას აღნიშნულ ფაქტზე.

1935 წ. 17 ივლისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

6. მოწმობა გაცემული ტფილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მიერ ევგენი მიქელაძის სახელზე. აგზავნიან მივლინებით მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში, თბილისის ოპერის ორკესტრისთვის მსახიობების მიწვევის თაობაზე 1935-1936 წლების სეზონში.

1935 წ. 27 აგვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

7. ევგენი მიქელაძის ჯამაგირის ნუსხა.

1935 წ. 27 თებერვალი. ნაბეჭდი. რუსულ და ქართულ ენებზე. 3 გვ.

8. ხელშეკრულება დადებული ტფილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექციასა და ევგენი მიქელაძეს შორის სიმფონიური კონცერტის ჩატარების შესახებ.

1937 წ. 25 მაისი. რუსულ ენაზე. ნაბეჭდი. ხელშეკრულებას ხელს აწერენ თბილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექციის წარმომადგენელი – ა. მ. ჭყონია, ხოლო მეორეს მხრივ, სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი ევგენი მიქელაძე. 1 გვ.

9. ევგენი მიქელაძის პასუხი, საქართველოს მთავარ საკურორტო სამმართველოსა და საქართველოს სახკომსაბჭოსადმი, ფილარმონიის ორკესტრის მივლინების შესახებ ივლის-აგვისტოს თვეებში ბორჯომში, სადაც ევგენი მიქელაძე აღნიშნავს გამგზავრების პირობებს.

უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

10. ევგენი მიქელაძის ანგარიში ოპერაში ჩატარებული სიმფონიური კონცერტების

შესახებ, სადაც იუწყება, რომ 13 იანვარს (წელი უცნობია), ტფილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრში მისივე ხელმძღვანელობით გაიმართა სიმფონიური ორკესტრის კონცერტი. ბრამსის III-სიმფონია და ასევე ბალეტი „შეჰერეზადა“ (პოემა – კლინგერის, მუსიკა – მ. რაველის), რომელიც პირველად შესრულდა ტფილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

პროგრამები

11. სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის III სიმფონიური კონცერტის პროგრამა ევგენი მიქელაძის ხელმძღვანელობითა და გერპი ცომიკის (ჩელოზე დამკვრელი) მონაწილეობით.

1933-1934 წწ. სეზონი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.

12. სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის სიმფონიური კონცერტის პროგრამა ევგენი მიქელაძის ხელმძღვანელობით. როიალთან ანდრო სვანიძე.

1933-1934 წწ. სეზონი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 13 ც. 26 გვ.

13. სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მე-5 სიმფონიური კონცერტის პროგრამა ევგენი მიქელაძის ხელმძღვანელობითა და მირონ პოლიაკინის მონაწილეობით.

1933-1934 წწ. სეზონი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 6 ც. 12 გვ.

14. სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის XVIII სიმფონიური კონცერტის პროგრამა ევგენი მიქელაძის ხელმძღვანელობით. როიალთან ა. ვირსლაძე.

1933-1934 წწ. სეზონი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 5 ც. 20 გვ.

15. ტფილისის დრამატული ინსტიტუტის საორკესტრო კლასის, სიმფონიური კონცერტის პროგრამა ევგენი მიქელაძის ხელმძღვანელობით.

1933 წ. 13 მაისი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

16. სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის VII სიმფონიური კონცერტის პროგრამა ევგენი მიქელაძის ხელმძღვანელობითა და სანდრო ინაშვილის მონაწილეობით.

1934-1935 წწ. სეზონი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც. 4 გვ.

17. სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის IV სიმფონიური კონცერტის პროგრამა ევგენი მიქელაძის ხელმძღვანელობით. ზ. ტურგაევასა და ნ. პლატონოვის მონაწილეობით.

1934-1935 წწ. სეზონი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 12 გვ.

18. ევგენი მიქელაძის ხელმძღვანელობით გამართული სიმფონიური კონცერტის პროგრამა

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც. 1 გვ.

19. თბილისის ევგენი მიქელაძის სახელობის მუსიკალური სკოლის მოსწავლეთა აკადემიური კონცერტის პროგრამა-ბუკლეტი.

1973 წ. დასტამბული. 2 გვ.

ევგენი მიქელაძის მიერ გაგზავნილი წერილები

20. ევგენი მიქელაძის წერილი კონსერვატორიის დირექტორის სახელზე. ბორჯომში ჩატარებული სეზონისთვის სთხოვს კონსერვატორიის ბიბლიოთეკიდან სანოტო მასალის გამოყოფას.

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

21. ევგენი მიქელაძის სიტყვა თეატრის ახალი ხელმძღვანელობის შესახებ. წერს, რომ მისი და კოლექტივის აზრით, ახალმა ხელისუფლებამ სრულიად გაამართლა იმედები და ასეთი განახლებული დასი ტფილისის ოპერის თეატრს ჯერ არ ჰყოლია.

ხელნაწერი მელანი. რუსულ ენაზე. ბლოკნოტი. 2 გვ.

დეკრეტი

22. ევგენი მიქელაძის დეპეშა გევორქიანისადმი (აშხაბადი). ინვეს სამუშაოდ თბილისში და აცნობს სამუშაო პირობებს.

უთარილო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

23. ევგენი მიქელაძის დეპეშა ფლირმანისადმი მოსკოვში კონცერტების გამართვასთან დაკავშირებით. აღნიშნულია სასტუმროს, მგზავრობისა და სხვა ხარჯების შესახებ.

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

24. ევგენი მიქელაძის მიერ ოდესაში გაგზავნილი დეპეშა, სადაც სთავაზობს „პირველ სკრიპკას“ თანხას 550 მან. ხოლო სიმფონიისთვის 350 მან.

ნ. (?). 10 ოქტომბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

25. მოსკოვში ევგენი მიქელაძისადმი გაგზავნილი დეპეშა. წერს ტ. შევჩენკოს გარდაცვალების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტისთვის მზადების შესახებ. მოიხსენიებს კომპოზიტორებს: დ. არაყიშვილს, ი. ტუსკიას, გრ. კილაძეს და თაქთაქიშვილს.

უთარილო. რუსულ ენაზე. 1 გვ.

26. ევგენი მიქელაძის დეპეშა ფრიდისადმი (?), რომელსაც სთავაზობს აუცილებლად ჩამოვიდეს და დაესწროს სიმფონიური ორკესტრის კონცერტს და შემდგომში იმუშაოს ოპერაზე „ლოენგრინი“ (რიჰარდ ვაგნერი).

ნ. (?). 14 ოქტომბერი. კიევი. სასტუმრო „კონტინენტალი“. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

27. ევგენი მიქელაძის დეპეშა ვასკოვისადმი, რომელსაც სთავაზობს ანაზღაურებას თანამშრომლობისთვის.

ნ. (?) 13 ოქტომბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

28. ევგენი მიქელაძის დეპეშა ბროგისადმი, რომელსაც ეკითხება ჩამოსვლის თარიღს.

ნ. (?). 13/10. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

29. ევგენი მიქელაძის დეპეშა დირიჟორ უნგერისადმი. სთხოვს, წამოსვლისას წამოიღოს პარტიტურები „ბერლიოზი“ (ჰექტორ ბერლიოზი) და „ტილულენშპიგელი“ (მარლ დეკოსტერი).

ნ (?). 26 აპრილი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

30. ევგენი მიქელაძის დეპეშა მარიისკის თეატრის მთავარ დირიჟორ დრაშიშნიკოვისადმი, რომელსაც ინვეს საგასტროლოდ თბილისში. აცნობს სამუშაო პირობებს.

უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

31. პ. გილდის დეპეშა ევგენი მიქელაძისადმი. ელოდება პასუხს და მოახსენებს, რომ 13-ში ჩატარდება კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას იღებს კონსერვატორიის მონაფე მილხაური.

უთარილო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

მოსაწვევი ბარათები

32. ევგენი მიქელაძის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო-კონცერტის მოსაწვევი ბარათები.

1973 წ. 2 მაისი. დასტამბული. 3 ც. 12 გვ.

სხვადასხვა

33. დიმიტრი შოსტაკოვიჩის მიერ ევგენი მიქელაძის დახასიათება (ფოტოპირი).

1965 წ. 3 მარტი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

34. ევგენი მიქელაძის სადირიჟორო კოსტუმის (ფრაკი) ფოტო.

ზომა 23X10. 1 ც.